საქართველოს პარლამენტი

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი

№ 124
21.11.16

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის შესაბამისად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმს და კომიტეტის დებულებას.

დანართი: 20 ფურცელი

რომან კაკულია

კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის
დარგობრივი ეკონომიკისა და
ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტის სხდომის

ოქმი 1

ქ. თბილისი **21 ნოემბერი 2016 წ.**

სხდომის თავმჯდომარე: რომან კაკულია

სხდომას მდივნობდა: თამილა შაბაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომიტეტის წევრები: **გიორგი ბეგაძე, რევაზ არველაძე, რომან გოცირიძე, ლევან კობერიძე, თემურ კოხრეიძე, ირაკლი აბესაძე** *(გიორგი კანდელაკის ადგილმონაცვლე),* **გელა მიქაძე, კახაბერ ოქრიაშვილი, დავით სონღულაშვილი, აზერ სულეიმანოვი, ნინო წილოსანი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, ირაკლი ხახუბია.**

აპარატის მუშაკები: რ.ყანჩაველი, თ.შაბაშვილი, ი.ჩხენკელი, თ.ჯაფარიძე, გ.სირაძე, ვ.ქარუმიძე, ა.კუტალაძე, ე.ჭეიშვილი, მ.მეტრეველი, ი.ცუხიშვილი, გ.კაჭარავა, ა.შალუტაშვილი;

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დებულების დამტკიცება;

/მომხსენებელი: რომან კაკულია/

2. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

/მომხსენებელი: რომან კაკულია/

3. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.

/მომხსენებელი: რომან კაკულია/

1. **განიხილეს:** **დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დებულების პროექტი.**

აზრი გამოთქვეს: კომიტეტის წევრმა, რევაზ არველაძემ გამოთქვა შენიშვნა დებულების 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, კერძოდ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, დებულებით განისაზღვროს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესაძლებლობა.

გადაწყვიტეს: 1. გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით მოწონებულ იქნეს წარმოდგენილი დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დებულების პროექტი.

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 38-ე მუხლის შესაბამისად, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის დებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

2. **განიხილეს:** **მოხსენება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ.**

გადაწყვიტეს: 1. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ერთხმად არჩეულ იქნეს **გიორგი ბეგაძე.**

2. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

3. **განიხილეს:** **მოხსენება დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ.**

გადაწყვიტეს: 1. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ ერთხმად არჩეულ იქნეს საპარლამენტო

უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი **რევაზ არველაძის** კანდიდატურა;

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ იქნეს საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ მიერ წარმოდგენილი **გელა მიქაძის** კანდიდატურა;

(მომხრე - 9, წინააღმდეგი - არა)

3. მიღებული გადაწყვეტილება ეცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

სხდომის თავმჯდომარე: **რომან კაკულია**

სხდომის მდივანი: **თამილა შაბაშვილი**

საქართველოს
პარლამენტი

4600, ქუთაისი,
ირაკლი აბაშიძის ქუჩა, 26

საპარლამენტო უმრავლესობა

№ 78

21 11 2016 წელი

**დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის
კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ რომან კაკულიას**

ბატონო რომან,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ წარმოგიდგენთ რევაზ არველაძის კანდიდატურას.

პატივისცემით,

არჩილ თალაკვაძე

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი

ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის

კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ რომან კაკულიას

ბატონო რომან,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 39-ე და 104-ე მუხლების შესაბამისად, წარმოგიდგენთ თქვენდამი რწმუნებულ კომიტეტში კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების" წევრის ბატონ გელა მიქაძის კანდიდატურას.

პატივისცემით,

საპარლამენტო ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების"

თავმჯდომარე გიორგი ლომია

68

21 11 16